ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5967404

ნომერი: AR1904172

თარიღი : 02.06.2022

გაცემის თარიღი : 03.06.2022

გაცნობის თარიღი : 06.06.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გ. ტაბიძე , N 10 , მერიის შენობის უკან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ჩხარტიშვილი პ/ნ 61004007539
- თბილისი ვაშლიჯვარი IIა ზონა N 3ბ ბ. 39

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2022 წლის 02 ივნისის AR1904172 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გ. ტაბიძის ქ. N10-ში, მერიის შენობის უკან, სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ რეკომენდაცირებულია მნიშვნელოვნად შემცირდეს სარეკლამო აბრის ზომა და გასადავდეს ბადის დიზაინი.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1...არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : არ არის წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი დათარიღებული ფოტოები;
2...ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი :
- ფოტომონტაჟზე არ არის მითითებული ნიშნულები და სარეკლამო წარწერის მასალა;
- წარმოდგენილი იქნეს ფასადისა და სარეკლამო აბრების ზედაპირის ფართობის პროცენტული გაანგარიშება.
გათვალისწინებული უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით განსაზღვრული ნორმები, კერძოდ: "საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%-ს";
3. წარმოდგენილ იქნეს შპს „კრაფტსიტის“ სარგებლობის საფუძლად რეგისტრირებული 06/05/2022 წლის იჯარის ხელშეკრულება საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის სათანადო წესით დამოწმებულ თანხმობასთან ერთად.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.